მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №3
2022 წლის 25 იანვარი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილის არჩევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 36-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა კობა დარჯანია (პირადი №29001001111).
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა